

თანამშრომლობის მემორანდუმი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა

და შპს "DEGO PROJECT"-ს შორის

ქ. ბათუმი

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ (შემდეგში „ბსუ“), წარმოდგენილი რექტორის ასოც. პროფესორის მერაბ ხალვაშის მიერ და მეორე მხრივ შპს „DEGO PROJECT“ (შემდეგში „DEGO PROJECT“) წარმოდგენილი მისი დირექტორის გოჩა დევამის მიერ, (შემდეგში „მხარეები“) თანხმდებიან პროფესიულ (მოდულურ) საგანმანათლებლოსფეროში თანამშრომლობის შესახებ შემდეგზე:

მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. შპს „DEGO PROJECT“ უზრუნველყოფს პროფესიული მოდულური პროგრამის „არქიტექტორ-ტექნიკოსის“-ს სტუდენტთა გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკის გავლას, ასევე პროგრამით გათვალისწინებული მოდულების სხვა საკითხების შესწავლას; პრაქტიკული და ანალიტიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკული საქმიანობით განმტკიცების მიზნით, მხარეებს შორის შეთანხმებული კონტიგენტის ფარგლებში,
2. მხარეები:
 - ა) დარგობრივი კომპეტენციის ჩამოყალიბების მიზნით, მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და ა. შ.);
 - ბ) დაგეგმავენ და განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო ტრენინგებს, საინფორმაციო შეხვედრებს და სხვა;
 - გ) უზრუნველყოფენ მოდულური პროფესიული პროგრამის „არქიტექტორ-ტექნიკოსის“-ს ფარგლებში, გაცნობითი და საწარმოო პრაქტიკის დროს სტუდენტებმა ისარგებლონ მოდულით გათვალისწინებული ტექნიკური აღჭურვილობით.

მემორანდუმის მოქმედების ვადა და მხარეთა რეკვიზიტები

წინამდებარე მემორანდუმი ძალაშია ხელმოწერისთანავე და ძალაშია მის გაუქმებამდე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

(ქ. ბათუმი, ნინოწილის ქ. 35)

მერაბ ხალვაში

რექტორი, ასოცირებული პროფესორი

თარიღი: 10.10.2017

შპს „DEGO PROJECT“

ქ. ბათუმი, გორგოლაძის ქ. 28

გოჩა დევამე

დირექტორი

თარიღი:



10.10.2017